P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„კარენოი თბილისელები“, „თეთრი ყვავი“ და „ურბანული ფაშიზმი“

იხილეთ მე-5 გვერდზე

უკრაინულის გაკვეთილები ევროპისათვის

იხილეთ მე-4 გვერდზე

№ 34 (684) 2 - 8 დეკემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ვართ თუ არა დაზღვეული შიდსისგან? - ქუთაისის „სისხლის ბანკი“ პასუხს არ იძლევა

2000 წელს „ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკში“ შეძენილი სისხლის გადასხმის შედეგად 37 წლის ქალბატონი და ახალდაბადებული შვილი „აივ ინფექციით“ დაინფიცირდნენ. 2013 წელს იმერეთის მასშტაბით შიდსით ინფიცირებული 540 ადამიანია რეგისტრირებული.

ლამზირა ჩალაძეს, რომელიც რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, საკეისრო კვეთის დროს დონორის შიდსით დაინფიცირებული სისხლი გადაუსხეს. მომხდარის შესახებ მხოლოდ 5 წლის შემდეგ გახდა ცნობილი. მაშინ, როცა შიდსის ცენტრმა ყველა იმ პაციენტის გამოკვლევა ჩაატარა, რომლებმაც იმ დონორის სისხლი გადაისხეს, რომელიც ლამზირა ჩალაძემ. გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ლამზირა ჩალაძეც და მისი 5 წლის შვილიც შიდსით იყო ინფიცირებული. 37 ქალბატონის შიდსით დაინფიცირების შემთხვევა მაშინ ქუთაისში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი თემა იყო. მომხდარზე დაიწყო გამოძიება და „ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკს“ კომპენსაციის სახით ლამზირა ჩალაძისთვის 20 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

სკამებზე ჩაძინებული ბავშვები და გადატვირთული ბაღები

ქუთაისის ბაღების აიპი გაერთიანების ხელმძღვანელი ბაღების დამატებას ითხოვს

სკოლამდელ დაწესებულებაში გადასახადის გაუქმება საბავშვო ბაღებში ბავშვთა ნაკადის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობა იყო.

ქუთაისში მოქმედ 35 სახელმწიფო ბაღში (289 ოთახში) ამ დროისთვის 9400-მდე ბავშვია რეგისტრირებული. კანონმდებლობით, ოთახში 30-ზე მეტი ბავშვის გაჩერება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, ფართების არარსებობის გამო, ქუთაისში მოქმედ თითქმის ყველა საბავშვო ბაღში დაშვებულ ნორმაზე მეტი ბავშვი იმყოფება. ოთახების დამატება საძინებლების ხარჯზე მოხდა, რის გამოც 4 წლამდე ბავშვებიც კი მთელი დღის განმავლობაში ბაღში დაძინებას ვერ ახერხებენ, რაც მათ ნერვიულ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს.
იმ ფაქტს, რომ უძილობა ბავშვებისთვის არაა სასარგებლო, ადასტურებს ფსიქოლოგი ლიკა მხატვარი. ფსიქოლოგის განცხადებით, აუცილებელია, ყველა ბაღში ბავშვების რაოდენობის შესაბამისად იყოს საწოლები. გადაღლის შემთხვევაში ვერგამოძინება, განსაკუთრებით 5 წლამდე ბავშვებში, ნერვიულ სისტემაზე ცუდად აისახება, რაც მათ გაღიზიანებას და რეჟიმის დარღვევას იწვევს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის 200-200 ლარი გამოიყო

იხილეთ მე-2 გვერდზე

ასოცირების შეთანხმება — ნაბიჯი ევროპისაკენ

იხილეთ მე-4 გვერდზე

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სექსუალური ხასიათის ქცევა 100-დან 200 ლარამდე დაჯარიმდება

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქუთაისელი არქიტექტორის ხელნაკეთი მანქანების და საოჯახო ტექნიკის გამოფენა

იხილეთ მე-7 გვერდზე

დარღვეული ხელშეკრულებები და ქუთაისის მერიის მიერ „დაუსჯელი“ კომპანიები

იხილეთ მე-3 გვერდზე

რატომ ვერ ყიდის ქუთაისის მერია მიწებს და ვინ დაინტერესდა ქონების მართვის სამსახურის საქმიანობით?

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 | ჰოროსკოპი — გვ. 7

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის 200-200 ლარი გამოიყო

მთავრობამ ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის, ზამთრის გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი სარეზერვო ფონდიდან 2 მლნ 295 ათასი ლარი გამოყო. როგორც მთავრობის №1570 განკარგულებიდან ირკვევა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით დახმარების გასაცემად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს 2 295 000 ლარი გამოიყო, მათ შორის:

ა) გორის მუნიციპალიტეტისთის — 1 4 46 600 ლარი;
ბ) ქარელის მუნიციპალიტეტისთვის — 559 000 ლარი;
გ) კასპის მუნიციპალიტეტისთის — 117 200 ლარი;
დ) საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის — 74200 ლარი;
ე) ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის — 69 200 ლარი;
ვ) ონის მუნიციპალიტეტისთვის — 28 800 ლარი.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნესტან ჩაგელიშვილი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

სკამებზე ჩაძინებული ბავშვები და გადატვირთული ბაღები

ქუთაისის ბაღების აიპი გაერთიანების ხელმძღვანელი ბაღების დამატებას ითხოვს

პირველი გვერდიდან

„არ მინდა ბაღში წასვლა, რადგან როცა მეძინება, იქ ვერ ვიძინებ" — დაიწუწუნა ბაღიდან დაბრუნებულმა 4 წლის ქეთომ. 5 წლის მარის თქმით კი, მასწავლებელი მათ იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე აძინებს.

„კი არი ლოგინები, მაგრამ გვეუბნება, რომ „პოლზე" დაგებულ ნოხზე დაწექითო" — აღნიშნავს 5 წლის ბავშვი. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გადამოწმებას მშობლებთან შევეცადეთ.

ნინო ქაშაკაშვილი (მშობელი): „მშობლებმა სახელმწიფო ბაღებში იმიტომ მიიყვანეს ბავშვები, რომ უფასოა, მაგრამ თუკი ბავშვების გაძლება შეუძლებელი იქნება, არ ეღირება ბაღში სიარული. არადა, კერძო ბაღის ფული ნამდვილად არ აქვს ყველას. ელემენტარული, 4-5 წლის ბავშვს უნდა აძინებდნენ ბაღში, რომ ნერვული სისტემა მოწესრიგებული ჰქონდეს, თორემ მთელი დღე გაძლებაზე რომ იქნება ბავშვი, ჩემი აზრით, ეს ნამდვილად დანაშაულია და სახელმწიფომ ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს. კარგია გადასახადის გაუქმება, მაგრამ მთავარია, ბავშვების მოვლას როგორ უზრუნველყოფენ?"

მარიამ იაკობიძე (მშობელი): „საშინელი მდგომარეობაა, პატარა ოთახში 35-ზე მეტი ბავშვი იმყოფება. წარმოიდგინეთ, მთელი დღის განმავლობაში ზიან, ადგილიც კი არ არის, რომ ითამაშონ. ხშირად სკამებზე და მაგიდებზე თავჩამოდებულებს სძინავთ. ბავშვი რომ გამომყავს ბაღიდან, სახეზე ხელები ახატია. ეტყობა, ცოტა რომ მოისვენოს, ხელი უდევს თავქვეშ. ამის გამო, როდესაც ბაღიდან მოდის ყოველთვის საშინლად გაღიზიანებულია. მასწავლებლები ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდებიან. თუკი არ იქნება საწოლები, მასწავლებლები ბავშვებს როგორ დააძინებენ? იმედია, გამოსწორდება მდგომარეობა, თორემ ასე ბავშვები დაავადდებიან. მაგალითად, ჩემს შვილს ბაღში წასვლა იმის გამო შეძულდა, რომ ვერ იძინებს და ვერ ისვენებს".

ხათუნა იობიძე (მშობელი): „კატორღასავით" არის ბავშვებისთვის ბაღი, წარმოგიდგენიათ 40 ბავშვი რომ იქნება ერთ ოთახში, ჟანგბადიც ხომ უნდათ? ამის გამო გასანიავებლად მასწავლებლები ფანჯრებს აღებენ, ამ დროს კი ბავშვები ცივდებიან. მეორეც წარმოიდგინეთ, მასწავლებლისთვისაც რა რთულია 35 ბავშვის დაწყნარება და მათთვის ყურადღების მიქცევა, ამიტომ ბაღი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება კი არა, ბავშვებისთვის გაუსაძლის ადგილად იქცევა. მეცოდება, ჩემ შვილს ამ მდგომარეობაში რომ ვუშვებ, მაგრამ სხვა გამოსავალიც არ არის. კარგია, უფასო რომ გახდა, მაგრამ ეს ბავშვების ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო. კარგი იქნება, თუკი ქალაქის ხელმძღვანელობა ამაზე იფიქრებს."

ბავშვთა გაზრდილი ნაკადისა და არასაკმარის ადგილებზე საუბრობენ ბაგა-ბაღების ფილიალების უფროსები და პედაგოგები. როგორც მათ აღნიშნეს, მიმდინარე წელს ბავშვთა რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, რის გამოც საკლასო ოთახებში დაშვებულ ნორმაზე მეტი ბავშვის გაჩერება უხდებათ.

ბაღების დამატების აუცილებლობაზე საუბრობს ქუთაისის ბაღების აიპი გაერთიანების ხელმძღვანელი **მაია პაქსაძე.** როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ქალაქში სამი ბაღის დამატება სასიცოცხლო მნიშვნელობის არის, რის გამოც ადგილობრივ თვითმმართველობასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

„ნამდვილად არ არის საკმარისი ფართები, მინიმუმ სამი ბაღის დამატება აუცილებელია, ცოტა, რომ განიმუხტოს სიტუაცია. ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ ან ახალი შენობები აშენდეს ან ძველი შენობები დაუბრუნდეს ბაღებს. იმედია, მომავალი სასწავლო წლიდან ახალი

ორშაბათი	23 დეკემბერი	წვნიანი ბრინჯით, მაკარონი ყველით, პური, კომპოტი	ჩაი, კარაქიანი პურით
სამშაბათი	24 დეკემბერი	წვნიანი მაკარონით, ბუფეტა, პური, კანფეტი	კაკაო კარაქიანი პურით
ოთხშაბათი	25 დეკემბერი	წვნიანი ბრინჯით, თევზი პიურეთი, პური, ჩუნინა	მანანის წყალი
ხუთშაბათი	26 დეკემბერი	ბორში, მაკარონი ხორცით, პური, კანფეტი	ბრინჯის წყალი
პარასკევი	27 დეკემბერი	წვნიანი ბრინჯით, ლობიო, პური, კომპოტი	მაკარონის წყალი
ორშაბათი	30 დეკემბერი	წვნიანი ბრინჯით, მაკარონი ყველით, პური, კომპოტი	ჩაი, კვერცხიანი პური
სამშაბათი	31 დეკემბერი	წვნიანი მაკარონით, კოტლეტი, პური, კანფეტი	კაკაო კარაქიანი პურით

4126 75386

ბაღები გვექნება. მაგრამ, ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არ არის.

რაც შეეხება ბავშვთა ნაკადს, წელს საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა, ეს წელს არ მომხდარა პირველად, ბოლო წლებში ბავშვების რაოდენობა ეტაპობრივად იზრდებოდა და დარწმუნებული ვარ, არც მომავალში შეიცვლება" — აღნიშნა ბაღების აიპი გაერთიანების ხელმძღვანელმა **მაია პაქსაძემ.**

არსებული მონაცემებით, ბაღების სიმცირის მხრივ, რთული მდგომარეობაა ავტოქარხანაში, ავანგარდში, ზვიად გამსახურდიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასა და ჭომაში.

ავანგარდის დასახლებაში, დაახლოებით, 10 000 ადამიანი ცხოვრობს, სადაც მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. აქ ამ დროისთვის 500 ბავშვია რეგისტრირებული. აღსანიშნავია, რომ ამ უბანში არსებულ მეორე საბავშვო ბაღში რამდენიმე წლის წინ დევნილები და სოციალურად დაუცველები შესახლდნენ. იგეგმება თუ არა შენობისთვის პირვანდელი ფუნქციის მინიჭება ან ახალი შენობის აშენება, ჯერჯერობით, უცნობია.

***

არასაკმარის ფართებთან ერთად, ყურადღებას კვების საკითხიც იწვევს. შევეცადეთ, გაგვერკვია, გასულ წლებთან შედარებით, შეიცვალა თუ არა კვების მენიუ, რამდენად იმოქმედა გადასახადის გაუქმებამ, რამდენ ლარს ხარჯავს სახელმწიფო დღიურად თითო ბავშვზე, ასევე ბაღებში შესული პროდუქტი ვის მიერ გადის შემოწმებას და რამდენად უსაფრთხოა ბავშვებისთვის შეძენილი პროდუქცია?

ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის განცხადებით, საბავშვო ბაღებში კვების პროდუქციის შესატანად ტენდერი ცხადდება. გამარჯვებული კომპანიები კი კვირაში ერთხელ (გარდა პურისა) ლაბორატორიულად შემოწმებულ პროდუქციას აწვდიან ბაღებს. როგორც ბაღებში აღნიშნავენ, გადასახადის გაუქმებას კვების რეჟიმზე არ უმოქმედია და ქუთაისის 35-ვე ბაღი ერთნაირი პროდუქციით მარაგდება და დღის მენიუც ყველგან ერთნაირია.

ნესტან ჩაგელიშვილი

P.S. ჩვენ ბაღების თემაზე მუშაობას კვლავ ვაგრძელებთ და უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების პოზიციას, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებენ ბაღებში არსებული პრობლემების დასაძლევად.

ვართ თუ არა დაზღვეული შიდსისგან? — ქუთაისის „სისხლის ბანკი" პასუხს არ იძლევა

პირველი გვერდიდან



დღესდღეობით რა მდგომარეობაა ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკში, რამდენად არის მომზმარებელი დაცული დონორის სისხლის გადასხმის დროს და რა პროცედურებს გადის სისხლი, ვიდრე მას პაციენტი გამოიყენებს, ამ საკითხზე სასაუბროდ ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის დირექტორს **ნანა ლობჟანიძეს** ვესტუმრეთ. სამწუხაროდ, ნანა ლობჟანიძემ, რომელსაც დაწესებულებაში ჟურნალისტის გამოჩენა აღიზიანებს, ინტერვიუზე კატეგორიული უარი განაცხადა. „რაც გადავიტანე ჟურნალისტების გამო, საკმარისია. არ ვაპირებ ამ საკითხზე საუბარს," — ამბობს „სისხლის ბანკის" დირექტორი და ექიმი ჰემატოლოგი ნანა ლობჟანიძე.

7 წლის წინ განვითარებული მოვლენების გახსენება არ სურთ არც რიგით თანამშრომლებს. მათი თქმით, დაწესებულებაში ეს თემა დახურულია. „ძლივს დასრულდა ამ თემაზე საუბარი და ახლა არავის სურს მისი გახსენება. ძალიან ცუდია, რომ ისევ იმ ცნობილი ფაქტით ვასოცირდებით ხალხში," — ამბობს ერთ-ერთი თანამშრომელი.

***

2013 წელს იმერეთის მასშტაბით შიდსით ინფიცირებული 540 ადამიანია რეგისტრირებული. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოში ამბობენ, როგორც წესი, იმერეთში დაინფიცირების შემთხვევათა უმრავლესობა ქუთაისზე მოდის, რაც, დაახლოებით, 70%-ს აღწევს. სამმართველოს ექიმი-ეპიდემიოლოგი **დალი ქობულაძე** ამბობს, რომ სისხლის გადასხმის შედეგად შიდსით დაინფიცირების რისკი საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. „სპეციალური სახელმწიფო პროგრამა არსებობს „უსაფრთხო სისხლი", რაც აბსოლუტური გარანტიაა იმისა, რომ დონორის სისხლი ჯანმრთელია. გადასხმამდე სისხლი გადის უამრავ პროცედურას. პირველადი და აუცილებელი შემოწმება ტარდება სწორედ შიდსზე, B და C ჰეპატიტზე, ასევე სიფილისზე. ნახევარ საათში შეიძლება ამის დადგენა.

რაც შეეხება წლების წინ ქალბატონის დაინფიცირების ფაქტს, მეც მახსოვს ეს შემთხვევა და როგორც ვიცი, მაშინ ე.წ. „ფანჯრის" პერიოდი იყო, როცა შიდსის დადგენა ვერ ხერხდება," — ამბობს **დალი ქობულაძე.**

2013 წლის ბოლო მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია აივ ინფიცირების 4055 შემთხვევა. მათგან 2978 მამაკაცია, 1077 — ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა.

მიმდინარე წელს 215 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, მათგან 41 ბავშვია. შიდსით დაინფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2012 წელს დაფიქსირდა — 526. დაინფიცირების შემთხვევებით, დედაქალაქის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით პირველ ადგილზე სამეგრელოა. სტატისტიკის მიხედვით 51,6%-ის შემთხვევაში შიდსის გადაცემა ნარკომანიით ხდება. მაღალი მაჩვენებლია ასევე სქესობრივი გზით დაინფიცირების შემთხვევებში.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სტატისტიკით საქართველო შიდსით დაინფიცირების მაჩვენებლით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ-ინფიცირებულთა საავარაუდო რიცხვი საქართველოში 6000-ს აღწევს, რაც ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

საქართველოში შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა. პირველი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

მარიამ პატარაია

დარღვეული ხელშეკრულებები და ქუთაისის მერიის მიერ „დაუსჯელი“ კომპანიები

რატომ უხდის 170 ათას ლარს ქალაქის ხელისუფლება დასაჯარიმებელ კომპანიას?

ოქტომბრის დასაწყისში ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევისთვის საჯაროდ „მხილებულ“ კომპანიებს ხარვეზებით შესრულებული სამუშაოებისთვის ჯარიმა ამ დრომდე არ დაკისრებია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ხელისუფლების განცხადებები მათი მისამართით საკმაოდ მკაცრი იყო, კომპანიები ჯერ კიდევ ქუთაისის მერიასთან თანამშრომლობაში მყოფ ფირმებად მოიაზრებიან და მათ წინააღმდეგ არავითარი ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა.

კომპანია „მშენებელი 2011“-ს ქუთაისის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაცია გასული წლის 1 მაისს უნდა დაესრულებინა. სს „დაგის“ მიერ ოპერის თეატრში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი კი ამ დრომდე არ არსებობს, ხოლო შპს „ექსპოგრაფს“ ქუთაისის მერია ლადო მესხიშვილის თეატრისთვის უხარისხო სკამების შეძენას ედავება.

კომპანიებისთვის ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ 5-დღიანი ვადის მიცემიდან თითქმის ორი თვე გავიდა, თუმცა, შესაბამის სამსახურში ისიც კი არ იციან, რა რაოდენობის ჯარიმა შეიძლება დაეკისროს თითოეულ მათგანს. უფრო მეტიც, გამორიცხული არ არის, სამიდან ერთ-ერთ კომპანიას, „მშენებელი 2011“-ს, რომელიც ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციას ახორციელებდა, ქუთაისის ბიუჯეტიდან 170 ათასი ლარი გადაუხადონ.

ეს ის კომპანიაა, რომელსაც ყოფილი ვიცე-მერის თენგიზ თოფურიძის თქმით, ჯარიმის სახით, 620104.78 ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა, თუმცა, როგორც ირკვევა, მერიას „მშენებელი 2011“-სთვის პროექტით გათვალისწინებული ბოლო სამუშაოს შესრულებისთვის განსაზღვრული თანხის ნაწილი ამ დრომდე არ აქვს გადახდილი, რის გამოც შესაძლოა, კომპანია სოლიდურ ჯარიმას გადაურჩეს, თუმცა, ინფრასტრუქტურის მიმართულების კურატორი, ვიცე-მერი ნოდარ მიქიაშვილი ამბობს, რომ კომპანიას ჯარიმის სახით გარკვეული თანხის გადახდა მაინც მოუწევს. ამასთანავე, როგორც ირკვევა, მიმდინარე წლის მაისში ცენტრალურ მოედანზე მიმდინარე სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით კომპანიამ შესაბამისი წერილი ქალაქის მერიას მიწერა და სამუშაოების ჩაბარებას ითხოვდა, თუმცა, მას საპასუხო წერილი არ მიუღია. ამის მიზეზად ქალაქის მერის ცვლილება დასახელდა.

ნოდარ მიქიაშვილი აცხადებს, რომ ეს არ იყო საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ კომპანიისთვის პასუხი არ მიეწერათ, რადგან ეს სუფთა პროცედურული საკითხია და მას არაფერი აქვს საერთო საკადრო პოლიტიკასთან.

„საკმაოდ რთულადაა საქმე ამ შემთხვევაში, კომპანია მაისში ითხოვდა სამუშაოების ჩაბარებას და ამაზე პასუხი არ მიუღია. ახლა სადავოა ის, როდიდან უნდა დაჯარიმდეს ის ვადების გადაცილებისა და სამუშაოების ხარვეზებით შესრულების გამო – მაისამდე თუ მაისის შემდეგ, რაც თავისთავად გავლენას მოახდენს ჯარიმის რაოდენობაზეც,“ –ამბობს **მიქიაშვილი.**

რატომ არ გაწყვიტა ამ დრომდე მერიამ აღნიშნულ კომპანიებთან ხელშეკრულებები და რატომ არ დააკისრა მათ შესაბამისი ჯარიმები, კეთილმოწყობის სამსახურში პასუხობენ, რომ მათი ვალდებულების ფარგლებში ყველა პროცედურა დაცულია.

„როგორც მე ვიცი, ხელშეკრულება, ჯერჯერობით, არ არის გაწყვეტილი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც პროცედურულად იყო საჭირო და ახლა იურისტებს აქვთ ეს საქმე,“ – ამბობს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **ზურაბ ზამბახიძე.**

კომპანიების საქმეზე, ჯერჯერობით, არ მუშაობენ მერიის იურიდიულ სამსახურში. სამსახურის უფროსი **ირაკლი გიორგაძე** ამბობს, რომ საქმე მის სამსახურში არც კი შესულა.

„თუ კომპანიები არ გადაიხდიან ჯარიმას, ჩვენ გვევალება, ისინი სასამართლოს ძალით ვაიძულოთ, შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება, თუმცა, ამ შემთხვევაში აღნიშნული კომპანიების წინააღმდეგ არც ერთი საქმე არ შემოსულა სამსახურში. როგორც წესი, ჩვენთან როცა შემოდის მსგავსი საქმე, მერიას კომპანიასთან უკვე გაწყვეტილი აქვს ხელშეკრულება და მასზე დაკისრებული ჯარიმის რაოდენობაც განსაზღვრულია,“ – ამბობს იურიდიული სამსახურის უფროსი **ირაკლი გიორგაძე.**

კომპანიების: „მშენებელი 2011“, შპს „ექსპოგრაფი“ და სს „დაგი“-ს მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტები ქალაქის ხელისუფლებამ ორი თვის წინ გააჟღერა. მაშინდელი ვიცე-მერი თენგიზ თოფურიძე, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსთან ერთად, აცხადებდა, რომ კომპანიებმა ხარვეზებით და ვადაგადაცილებით შეასრულეს სამუშაოები, რის გამოც მათ სოლიდური ჯარიმების დაკისრება ემუქრებოდათ, მათ საქმიანობას კი შესაბამისი სამსახურები შეისწავლიდნენ. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად კომპანიებს 5-დღიანი ვადა მიეცათ, თუმცა, მერიას, ვადის გასვლიდან ორი თვის შემდეგაც კი, კომპანიებისთვის არც ჯარიმები დაუწესებია და მათთან არც ხელშეკრულება გაუწყვეტია.

მარიამ პატარაია

„P.S. ფოტო“ ©

სადავო სკამები მესხიშვილის თეატრში

„P.S. ფოტო“ ©

სადავო ფილაქანი ცენტრალურ მოედანზე

„P.S. ფოტო“ ©

უხარისხო რემონტი ოპერის თეატრში

რატომ ვერ ყიდის ქუთაისის მერია მიწებს და ვინ დაინტერესდა ქონების მართვის სამსახურის საქმიანობით?

წლის ბოლომდე ქუთაისის მერიის ქონების მართვის სამსახურმა 3 მილიონ 700 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება უნდა გაასხვისოს. სწორედ ეს თანხაა საჭირო არაფინანსური აქტივების წლიური გეგმის შესასრულებლად. ამისთვის სამსახურს ზუსტად ერთი თვე რჩება, თუმცა, უკვე წინასწარაა ცნობილი, რომ გეგმა არ შესრულდება.

4 მილიონ ნახევრის ნაცვლად, რომელიც არაფინანსური აქტივების წლიური გეგმაა, უძრავი ქონების გაყიდვიდან ქალაქის ბიუჯეტში მხოლოდ 800 ათასი ლარის მობილიზება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში აუქციონი რამდენჯერმე გაიმართა, დიდი რაოდენობით უძრავი ქონების გასხვისება მაინც ვერ მოხერხდა. როგორც სამსახურში ამბობენ, აუქციონებზე დაბალი იყო მონაწილეთა აქტივობა, ზოგჯერ კი საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტები საერთოდ არ იყიდებოდა.

ქონების გაყიდვის პრობლემას სამსახურის უფროსი **ბესიკ ცქიფურიშვილი** ყოფილი ხელისუფლების არასწორ პოლიტიკას უკავშირებს. მისი თქმით, წლების განმავლობაში „ნაციონალები“ არასაჯარო აუქციონებს ატარებდნენ და მიწის შეძენით დაინტერესებულ პირებთან მიმართებაში შერჩევითობის პრინციპს იყენებდნენ. ბოლოს კი ისეთი ბიუჯეტი შეადგინეს, რომელიც წინასწარ ჩასაგდებად იყო განწირული.

სწორედ წარსულს უხსენებენ ცქიფურიშვილს ყოფილი თანაგუნდელები მის მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე საუბრისას. საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები აცხადებენ, რომ ბესიკ ცქიფურიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში ამ სამსახურში მუშაობს, პრობლემებზე არასდროს უსაუბრია. აქედან გამომდინარე, მას მორალური უფლება არ აქვს იმ გუნდის შეცდომებზე ისაუბროს, რომლის წევრიც თავად იყო.

„სამსახურის უფროსის პოსტზე დაწინაურებულ ცქიფურიშვილს, რომელიც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პირობებში „დაფრთიანდა“, მორალური უფლება არ აქვს, „ნაციონალების“ მისამართით თითი გაიშვიროს. ეს, როგორც მინიმუმ, არაპატიოსანი კაცის საქციელია,“ — ამბობს საკრებულოს „ნაციონალი“ დეპუტატი **გია გოქაძე.**

„აპელირება იმ თემით, რომ „ნაციონალებმა“ შეგნებულად გაწირეს ბიუჯეტი –სისულელეა. არაფინანსური აქტივები ყოველწლიურად იზრდებოდა და, შესაბამისად, ლოგიკური იყო წლევანდელი გეგმაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ბიუჯეტის ამ ნაწილში შესრულების პრობლემა არასდროს ყოფილა, პირიქით – ყოველთვის

„P.S. ფოტო“ ©

ბესიკ ცქიფურიშვილი

გადაჭარბებით ვასრულებდით გეგმას,“ –აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე **გია უკლება.**

7-თვიანი წარუმატებელი აუქციონების შემდეგ, მიმდინარე წლის ერთ-ერთი ბოლო აუქციონი ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. გასულ კვირას გამართულ აუქციონზე გამოტანილი 52 ობიექტიდან ნახევარზე მეტი – 29 გაიყიდა. ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ კი, დაახლოებით, 160 ათასი ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ქონების მართვის სამსახურში მცირე ზომის მიწის ნაკვეთების პრივატიზებას პრობლემის გადაჭრის გზად არ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ საუკეთესო გამოსავალი ქალაქში მსხვილი ინვესტორის შემოსვლა იქნება, თუმცა, ინვესტორები ამ დრომდე ქუთაისის მიმართ არც ტურისტულ და არც ბიზნეს ინტერესებს არ ავლენენ.

„ჯერჯერობით, მნიშვნელოვანი ინვესტორები არ ჩანან და ეს ძალიან ცუდია. საუკეთესო იქნებოდა, თუ შემოვიდოდნენ ისეთი ინვესტორები, რომლებიც დიდ თანხებს ჩადებენ სასტუმროების მშენებლობაში, წარმოებაში, ტურიზმში და ასე შემდეგ. მაგალითად, როგორც 2010 წელს „შიტრიტ ჯგუფმა“ შეიძინა 3 მილიონ ნახევრის ქონება პირდაპირ პრეზიდენტის დავალებით. ასეთ შემთხვევებში მოქმედებს პირდაპირი მიყიდვის წესი და ეს გააიოლებდა საქმეს,“ – ამბობს **ბესიკ ცქიფურიშვილი.**

ქონების გამარტივებული წესით პრივატიზებასთან დაკავშირებით ცქიფურიშვილის სურვილებს არ ემთხვევა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის **შოთა მურღულიას** მოსაზრება. მურღულიამ სწორედ აუქციონზე განაცხადა, რომ უმჯობესია, თუ ქალაქის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების პრივატიზება მხოლოდ აუქციონის გზით მოხდება, ყველა იმ ქონებაზე კი, რომელიც აქამდე პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისდა, მოკვლევა ჩატარდება. მურღულიას არ დაუკონკრეტებია, უკავშირდებოდა თუ არა მისი განცხადება ქონების მართვის სამსახურში კორუფციული სქემის არსებობის შესახებ არაერთხელ გავრცელებულ ინფორმაციას.

„გამარტივებული წესით ქონების პრივატიზებას, ცხადია, კანონი არ კრძალავს, თუმცა, უმჯობესია, თუ ამიერიდან უძრავი ქონების გასხვისება მხოლოდ აუქციონის გზით მოხდება. ყველა იმ ქონებაზე კი, რომელიც გამარტივებული გზით გასხვისდა, მოკვლევა ჩატარდება,“ — განაცხადა **მურღულიამ.**

ჯერჯერობით, უცნობია, ვინ და როდის შეისწავლის ბოლო წლებში გამარტივებული წესით გასხვისებული ქონების კანონიერებას და რა თანხის მობილიზებას შეძლებს სამსახური ბიუჯეტში წლის ბოლომდე. აუქციონების ჩასატარებლად ქონების მართვის სამსახურს კიდევ ერთი თვე აქვს. როგორც სამსახურში ამბობენ, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე შემოსავლის მილიონამდე გაზრდა უმთავრესი ამოცანაა, რაც, მათი თქმით, არსებული რეალობის გათვალისწინებით კარგი შედეგი იქნება.

მარიამ პატარაია

ასოცირების შეთანხმება – ნაბიჯი ევროპისაკენ

29 ნოემბერს ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე, ოფიციალურ ცერემონიაზე, საქართველოს და ევროკავშირის წარმომადგენლებმა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" პარაფირება მოახდინეს, რაც გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარ ხელმოწერას მხოლოდ ინიციალებით. შეთანხმებას, საბოლოოდ, ხელი ერთი წლის შემდეგ მოეწერება.

ამ შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები სრულიად ახალ დონეზე გადადის. ჩვენი ქვეყნისთვის ეს უკვე არა ზოგადი პოლიტიკური დეკლარაცია, არამედ კონკრეტული რეგულაციები და პრივილეგიებია. ასევე, მხარეებმა ხელი მოაწერეს საქართველოს ჩართვას ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში.

დოკუმენტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონმა მოაწერეს ხელი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს.

მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე (DCFTA) — 2011 წლის დეკემბერში) და დასრულდა 2013 წლის ივლისში. ასოცირების შესახებ შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

როგორც ოფიციალური ცერემონიის დროს სიტყვით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებების პარაფირება წინგადადგმული ნაბიჯია ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

„მინდა მივულოცო საქართველოს და ევროკავშირს ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც აფუძნებს საქართველოს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის ჩართვას. მიგვაჩნია, რომ საქართველო ევროკავშირთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილეა მსოფლიოში კრიზისის მართვის საკითხებში. ევროკავშირის მისიამ ძალიან დიდი როლი შეასრულა საქართველოს სტაბილურობის საქმეში, ამიტომ ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყნის მშენებლობის პროცესში და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ევროკავშირთან ერთად მონაწილეობა," — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

რა არის ასოცირების შეთანხმება და რას მივიღებთ...

ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოების ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტს. ის შედგება 4 მთავარი თავისგან: საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მართლმსაჯულება და საშინაო პოლიტიკა; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA); და მეოთხე თავი მოიცავს მთელ რიგ საკითხებს გარემოს დაცვის, მეცნიერების, ტრანსპორტისა და განათლების საკითხების ჩათვლით. DCFTA-ს ხელისმომწერმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ ევროკავშირის, დაახლოებით, 350 კანონი 10 წლის ვადაში.

„DCFTA-ს ხელმომწერმა ქვეყნებს ხელი მიუწვდებათ აგრეთვე, ევროკავშირის 500 მლნ მომხმარებელზე და მის ბაზარზე, რომლის ერთობლივი ეკონომიკა შეადგენს 12.9 ტრილიონ ევროს. შედარებისათვის, მის მეტოქე რუსეთის მიერ მართულ საბაჟო კავშირს მხოლოდ 170 მლნ მომხმარებელი ჰყავს და მისი ერთობლივი ეკონომიკა კი შეადგენს 1.4 ტრილიონ ევროს" — აცხადებს ევრომისარი შტეფან ფულე რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში.

როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე მიიჩნევს, „ ამ ხელშეკრულების პარაფირება არ ნიშნავს მხოლოდ კეთილი ნების დემონსტრირებას, როგორც ქართული, ისე ევროპის მხრიდან. ეს არის კონკრეტული რეგულაციები და კონკრეტული პრივილეგიები, რომელიც ქართულმა მხარემ შეიძლება ამ ხელშეკრულების ხელმოწერით მიიღოს." ექსპერტი Georgian Times-თან საუბარში ამბობს, რომ, პრაქტიკულად, საქართველოს მხრიდან ეს არის ყველაზე რეალური ნაბიჯი ევროპისკენ გადადგმული და აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ითვალისწინებს იმას, რომ საქართველო რეალურად ევროპის ნაწილი ხდება.

მისივე თქმით, ევროპასთან დაახლოება საქართველოს საშუალებას მისცემს ქართული წარმოება, მომსახურება და პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და მთელ მსოფლიოში კონკურენტუნარიანი გახადოს. ექსპერტის შეფასებით, საქართველოს რუსეთში ძალიან ბევრი პროდუქციის შეტანა შეუძლია, მაგრამ ეს განვითარებაზე და ბიზნესზე ორიენტირებული ვერ იქნება.

„რუსეთის 150 მლნ მოსახლიდან გადახდისუნარიანი შეიძლება იყოს 20%. ევროპაში სოციალურად დაუცველი კატეგორიაც კი, გაცილებით უფრო გადახდისუნარიანია, ვიდრე რუსეთის მოსახლეობაში საშუალო ფენა. მოხმარების დონითაც, ევროკავშირის მოხმარება გაცილებით მეტია, ვიდრე რუსული ალტერნატივა," — აცხადებს ლევან კალანდაძე.

მომდევნო ერთი წელი...

როგორც ცნობილია, ასოცირების შეთანხმებას ხელი ერთი წლის შემდეგ — სავარაუდოდ, 2014 წლის შემოდგომაზე მოეწერება. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, მომავალი ერთი წელი გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნება და ეკონომიკური პროცესების მართვა ყოველგვარი ექსესების გარეშე უნდა მოხდეს.

„ამ ხელშეკრულებით საქართველოსთვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდება. უსაფრთხოების თვალსაზრისისით, პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით ქვეყანა წინ წავიდა. ერთი წელი თუ გავაგრძელებთ გონივრულად და წინდახედულად საქმიანობას ჩვენი ქვეყნის მართვისა და დემოკრატიული განვითარების მხრივ, როგორც ეს აქამდე განვახორციელეთ, ასეთ შემთხვევაში ევროპული ოჯახის კიდევ უფრო სრულუფლებიანი წევრი გავხდებით," — განაცხადა **ძიძიგურმა.**

მისივე თქმით, „ერთი წლის განმავლობაში დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვა, კერძო საკუთრების დაცვა მოგვიწევს."

ევროკავშირთან ხელშეკრულების პარაფირებას გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და განაცხადა, რომ ამის გამო შესაძლოა, რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის მიმართ აგრესია გაძლიერდეს.

„რუსეთის მხრიდან ზეწოლის გაძლიერების საფრთხე მაღალია. სოჭის ოლიმპიადის შემდეგ იგი აუცილებლად გახდება აგრესიული. შესაძლოა, საქართველოზე მანიპულირების მოხდენა მან ეკონომიკური ბერკეტებით, კერძოდ, ბაზრის გახსნა-დაკეტვით შეეცადოს," — მიიჩნევს **ჭიაბერაშვილი.** უკრაინის მოვლენების გათვალისწინებით, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს ხედავს პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეები." როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, უკრაინაში განვითარებული დრამატული მოვლენები ცხადყოფს, რომ ვილნიუსის სამიტის შემდგომ საქართველოს საკმაოდ რთული პერიოდის გავლა მოუწევს. საქართველოს ეკონომიკა, დღეს აღარ არის რუსეთზე ისე დამოკიდებული, როგორც უკრაინის, მაგრამ ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის დაკეტვის პოლიტიკურ ბერკეტს, სავარაუდოდ, რუსეთი მომავალ წელს საქართველოზე ზეწოლისთვის აქტიურად აამუშავებს. ასევე, უნდა ველოდოთ ახალი პრობლემების შექმნას ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონებში, მოსალოდნელია სეპარატისტული მოძრაობების, ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების წახალისება.

„ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშავოს ევროინტეგრაციის განხორციელების საგზაო რუკა, სადაც ყველა მოსალოდნელი საგარეო თუ საშინაო გამოწვევის გადაჭრის გზა იქნება ჩამოყალიბებული. ეს პერიოდი საქართველოს ხელისუფლების და ქართული საზოგადოების დიდი გამოცდა იქნება," — ნათქვამია „ახალი მემარჯვენეების" მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ციტნე პაატაშვილი

უკრაინულის გაკვეთილები ევროპისათვის

პოსტსაბჭოთა სივრცეში ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავების მსურველთა რიგი თანდათან უფრო მცირდება. ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მსურველები მხოლოდ მოლდოვა და საქართველო დარჩნენ. როგორც ევროპელი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, ეს რუსეთის დამსახურებაა, რომელმაც გავლენა მოახდინა უკრაინისა და სომხეთის არჩევანზე, შეთანსმების პარაფირება არ მოეხდინათ.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ უკრაინამ და სომხეთმა უარი განაცხადეს თავის გეგმებზე ხელი მოეწერათ ასოცირების შეთანხმებისათვის ამ სამიტზე. განსაკუთრებით დასანანი და სამწუხაროა, რომ ქვეყნების გადაწყვეტილება საკუთარი არჩევანის გადახედვასთან დაკავშირებით მიღებულია გარედან ზეწოლის შედეგად. ჩვენ მკაფიოდ და ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს ჩვენი აღმოსავლელი პარტნიორების მიმართ, უბრალოდ მიუღებელია. მსურს ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირთან ასოცირების კარი ღიაა და ჩვენ არასდროს მივატოვებთ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის ევროპულ იმედებს და მისწრაფებებს," — განაცხადა ევროპარლამენტის პრეზიდენტმა **მარტინ შულცმა,** რომელმაც საქართველოს და მოლდოვას ასოცირების შეთანხმების პარაფირება მიულოცა.

„საქართველოს გადაწყვეტილი აქვს რეგიონში ევროპული ინტეგრაციის ბასტიონად დარჩეს" — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას Eurasia.net.

„უკრაინაში კრიზისი ღრმავდება იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან არჩიოს ქვეყანამ ეკონომიკური ინტეგრაცია, ევროპის კავშირთან თუ რუსეთთან. ამ კრიზისმა საქართველოში, მოლდოვის აღმოსავლეთით, ალბათ, უკანასკნელ პროდასავლურ ქვეყანაში შფოთიც დათესა და ანტირუსული წინააღმდეგობაც გააღვიძა. მაგრამ საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, სიტუაცია უკრაინაში მხოლოდ ხელს შეუწყობს საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას ევროკავშირთან" — ნათქვამია სტატიაში.

„უკრაინის დაკარგვამ დაუცველობის განცდა გააჩინა..."

როგორც სტატიაშია აღნიშნული, წელს საქართველო იმის მოწმე გახდა, თუ როგორ ჩამოშორდა პროევროპულ კლუბს ორი მეგობარი ექსსაბჭოთა რესპუბლიკა. ჯერ კარის მეზობელმა სომხეთმა მიიღო მოულოდნელი გადაწყვეტილება მოსკოვის თაოსნობით მოქმედ საბაჟო კავშირს მიერთებოდა, ახლა უკრაინამ აიღო ტაიმაუტი და გადადო დაგეგმილი სატაპო ხელშეკრულების ხელმოწერა ევროპის კავშირთან.

უკრაინის დაკარგვამ, იმ სლავური ქვეყნისა, რომელთანაც საქართველოს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, დაუცველობის განცდა გააჩინა.

„უკრაინა ჩვენი ყველაზე სერიოზული პარტნიორი იქნებოდა ვილნიუსის სამიტზე. უფრო მყარად დგახარ ფეხზე, როდესაც ასეთი დიდი ქვეყანა დგას შენ გვერდით" განაცხადა თინა ხიდაშელმა, პარლამენტარმა კოალიცია „ქართული ოცნებიდან", — იუწყებოდა „ინტერპრესნიუსი".

ქართველი ლიდერები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ინტეგრაცია დასავლეთთან ის საკითხია, რომელიც არასდროს შეიცვლება.

27 ნოემბერს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ხაზგასმით ამბობდა, რომ „გზა ევროპისკენ შეუქცევადი პროცესია..." — იტყობინებოდა საინფორმაციო გამოშვებები.

„მაგრამ საქართველოც, ზუსტად ისე, როგორც მისი მეზობლები, მოწყვლადია მოსკოვის შესაძლო ზეწოლისათვის უამრავ საკითხთან დაკავშირებით, იქნება ეს ექსპორტის პრობლემა თუ სეპარატისტული ტერიტორიები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. მიუხედავად ამისა, პროგრესული ქართველები ახლა მხარდაჭერას უცხადებენ კიევის ქუჩებში დაბანაკებულ, პროევროპელ უკრაინელებს და ფეისბუქის ბევრი ქართველი მომხმარებლის პროფილზე დებატებია ამ საკითხზე და სიმბოლიკა, რომელიც საპროტესტოდ გამოსული უკრაინელების მხარდაჭერას გულისხმობს. პარლამენტის ზოგიერთ წევრს სხდომაზე უკრაინის დროშის ფერი, ლურჯ-ყვითელი შარფი ეკეთა" — აღნიშნულია Eurasia.net-ის სტატიაში.

საზოგადოების მხარდაჭერა 24 ნოემბერს დაიწყო, როდესაც ქართველთა და უკრაინელთა მცირე ჯგუფმა თავი მოიყარა უკრაინის საელჩოსთან თბილისში, რათა მხარი დაეჭირათ პროევროპული ხაზისთვის. საპასუხოდ, საელჩოს მეორე მდივანმა, დიმიტრი ტრეტიაკოვმა განაცხადა, რომ უკრაინას არ უთქვამს უარი ევროკავშირში ინტეგრაციაზე და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო და უკრაინა მალე გახდებიან ევროკავშირის წევრები.

ამ დროს კი მეზობელ სომხეთს, სადაც ანტირუსული ინტეგრაციის ოპოზიცია ძლიერი რჩება, თვალი კიევზე უჭირავს და აზერბაიჯანივით, რომელსაც ევროკავშირთან მიერთების არავითარი სურვილი არა აქვს, ოფიციალურად დუმილს ინარჩუნებს. თანაც რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი 2 დეკემბერს, ვილნიუსის სამიტის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, სომხეთში ვიზიტს გეგმავს.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პუტინისგან და მისი ძმაბიჭებისგან, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, პრობლემებს ელის, ქართველი პოლიტიკოსები არ ვარაუდობენ, რომ თბილისი უეცრად სომხეთივით 360 გრადუსით შემობრუნდება და ჩამოვა ექსპრესიდან, რომელიც ევროპისკენ მიემგზავრება. ეს რწმენაა, ფაქტობრივად, ის მცირედი, რაშიც მთავრობა და ოპოზიცია ერთიანნი არიან" — მიიჩნევს Eurasia.net-ის სტატიის ავტორი.

ციტნე პაატაშვილი

„კარენოი თბილისელები“, „თეთრი ყვავი“ და „ურბანული ფაშიზმი“

**კინომცოდნე გიორგი გვახარიამ რადიო „თავისუფლების“ ბლოგი საქართველოში არსებული „ურბანული ფაშიზმის“ თემას მიუძღვნა, ანუ ბოლო პერიოდში ატეხილ განგაშს იმ ფაქტთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა, თბილისის მერი იყოს არათბილისელი...
გთავაზობთ გვახარიას ამ სტატიას.**

წავიდა და დაგვიტოვა სოფელი!

ხშირად ვიხსენებ გიგა ლორთქიფანიძის მიერ 90-იანი წლების დასაწყისში ნათქვამ სიტყვებს, ზვიად გამსახურდია როგორი პრეზიდენტია, ერთხელაც არ ყოფილა თეატრში. გაბრაზდა მაშინ ინტელიგენცია — არ გვპატრონობს, ყურადღებას არ გვაქცევსო და ცოტა ხანში, მას მერე, რაც გამსახურდია დაამხეს, აეროპორტში წავიდა, ედუარდ შევარდნაძის დასახვედრად. შევარდნაძემ გაითვალისწინა წინამორბედი კოლეგის შეცდომა და არა მარტო თეატრში დაიწყო სიარული. შევარდნაძის ინიციატივით დაარსდა ორგანიზაცია „თბილისი და თბილისელები“, სადაც საქართველოში დაბრუნებულმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, და, რაც მთავარია, საქართველოს ყოფილმა ცეკას მდივანმა, აიძულა ის ხალხი, ვინც თავის თავს „ნამდვილ თბილისელს“ უწოდებს (კანონიერი ქურდების, მექრთამეების, პოეტების, რეჟისორების, მხატვრების ეს უცნაური ნაზავი), მრავალჯერ გადაეხადა მადლობა ქვეყნის გადარჩენისთვის, კულტურის მიმართ გაწეული ამაგისთვის. აიძულა, მიეღო თავის წრეში. სოციალური წრე, რომელსაც „თბილისელი“ ჰქვია, ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი სივრცეა საქართველოში. ეს წრე მრავალრიცხოვანი არაა, მაგრამ ყოველთვის იყო გავლენიანი, რადგან მისი წევრების გემოვნებაზე, ცხოვრების სტილზე, აზროვნების სტილზე იგებოდა კულტურა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

2003 წელს ამ წრემ „ვარდების რევოლუციაშიც“ მიიღო მონაწილეობა. თუმცა, უფრო მეტად, ზურაბ ჟვანიას და ნინო ბურჯანაძეს უჭერდა მხარს. მიხეილ სააკაშვილის ექსცენტრიკული სტილი მაინც და მაინც არ მოსწონდა. სააკაშვილიც გრძნობდა ამას: ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ იგი სრულიად გაემიჯნა „კარენოი თბილისელებს“, უფრო მეტიც, „ჩასარეცხად“ გაიმეტა ზოგიერთი მათგანი. ასე გაიმეორა მან ზვიად გამსახურდიას შეცდომა. და ისტორიაც დატრიალდა. „თბილისელების ნაზავმა“ ჯერ ბადრი პატარკაციშვილთან გამონახა საერთო ენა, მერე კი, პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილთან დაიწყო დაახლოება. ნიშანდობლივია, რომ იმ ადამიანებში, რომელთაც ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე ფინანსურად ეხმარებოდა, სწორედ თეატრალები სჭარბობდნენ; „პიგმალიონისა“ არ იყოს, ქართულ თეატრალურ სივრცეში მოხვედრილებმა ისწავლეს „ხარისხიანი მეტყველება“, მერე კი, როცა სოციალური ქსელები გაჩნდა, იმის მტკიცება დაიწყეს, რომ „რბილი „ლ“ კლავს.“ თუმცა ეს რბილი „ლ“ ივანიშვილამდე ვერ აიტანეს. ზურაბ ჭიაბერაშვილის, როგორც მერის, „დაწუნების“ მთავარი მიზეზი, თუ გახსოვთ, ის გახდა, რომ „გარეუბნელია“, რომ სუფთად არ მეტყველებს. ზოგიერთს არ მოერიდა და ქალაქის მერის სიმაღლეც კი გაგვახსენა. ერთი წერილი მახსოვს გაზეთ „24 საათში“ (არ არის, სამწუხაროდ, ინტერნეტში, ამიტომ წერილის ციტირებას ვერ ვახერხებ). ფრიად განსწავლული ქალბატონი, როგორც წესი, გემოვნებაზე და თბილისელობაზე რომ მსჯელობდა ხოლმე, თბილისის მერს „არათბილისურ მეტყველებაში“ ამხელდა და მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხურვალე მხარდამჭერი იყო, გულისტკივილს გამოხატავდა, რატომ ნამდვილი თბილისელი არ ავირჩიეთ მერადო. ჰოდა, არა აქვს მნიშვნელობა, საქართველოში ვისი მხარდამჭერი ხარ. „ნაცმოძრაობის“ თუ, მაგალითად, „ქართული ოცნების“ — ეს „ურბანული ფაშიზმი“ ზეპოლიტიკური მოვლენაა და რეალურ პოლიტიკურ მოვლენებს არ უკავშირდება. ესაა ჩვენი საზოგადოების და, შესაძლებელია, ჩვენი კულტურის უკურნებელი სენი, რომელიც თუ არ გავიაზრეთ, რომელსაც თუ არ დავცინეთ, ვილნიუსი კი არა, საქართველოს პატრიარქის ლოცვაც კი ვერ გვიშველის.

„მე როგორც თეთრი ყვავი, ისე ვიყავი თბილისში. სულ ყველანი ერთმანეთს იცნობდნენ, ვინ შემოვიდოდა ოფისში, მოვიყვანდი ახალ კაცს, თითქოს გავაცნობდი და ყველანი ერთმანეთს გადაეხვეოდნენ. ყველას ნაცნობობა ჰქონდა. მე ხომ თბილისელი არა ვარ და არ ვიცნობდი. მე თბილისში ვერ დავმაგრდი. ჩამოვედი და წავედი მერე,“ — იგონებს ბიძინა ივანიშვილი. ნამდვილად „კინემატოგრაფიული სურათია“, როგორც თავადაც ამბობს, „თეთრი ყვავის“ მიერ დანახული თბილისი, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და თანაც ისე იცნობს, რომ არა აქვს მნიშვნელობა, იზრდება თუ არა ქალაქი. თბილისი შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მისი სახე უცვლელი რჩება. თბილისში უცვლელი რჩება „პატარა თბილისი“, რომლის მცხოვრებლები კვლავაც ფლობენ „მენტალურ ძალაუფლებას“ და ყველაფერს დათმობენ, შეიძლება სამშობლოც დათმონ, მაგრამ ამას, ნამდვილი თბილისელის წოდებას — არასდროს.

მიუხედავად ამისა, ბიძინა ივანიშვილმა (ფორმალურად „ქართულმა ოცნებამ“) — არ ვიცი, გააზრებულად თუ დაუფიქრებლად — თბილისის მერის კანდიდატად დაასახელა კაცი, რომელიც ამ სივრცის ნაწილად არ მოიაზრება; არც „პიგმალიონის“ სკოლა აქვს გავლილი და, შეიძლება ითქვას, მასავით „თეთრი ყვავია“. განსხვავება ისაა, რომ ნარმანიას წლების მანძილზე ხელფასები არ გადაურიცხავს „კარენოი თბილისელებისთვის“, ლიხტენშტაინის სურათები არ დაუკიდია კედელზე... ასეთი „თეთრი ყვავი“ კი, რომლისგანაც მოგებას ვერ ნახავ, რომელიც არ გაღიარებს, როგორც ელიტას, ამ ჩვენს მრავალჭირნახულ ქართულ ინტელიგენციას არ სჭირდება! მას თავისიანი უნდა თბილისის მერის პოსტზე. განა არა ჰყავს კანდიდატი: რამდენი ჰყავს — პოეტები, ბიზნესმენები, პოეტი ბიზნესმენები!.. რა ვიცი, რა დალევს „ჯიშიან ხალხს“, მაღალ-მაღალ თბილისელებს? ნარმანიას დასახელებას უმალვე მოჰყვა პანიკა. თავად „ოცნების“ მხარდამჭერმა ინტელიგენციამ დაიწყო „თბილისის მაჯისცემაზე“, „თბილისურ აქცენტზე“ მსჯელობა. მაინცდამაინც კატეგორიულად არა, რადგან ჯერაც კარგად ვერ გარკვეულა მთავარში — მართლა მიდის თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან. და მართლაც რომ წავიდეს, ასე რომ დატოვოს ეს ხალხი დავით ნარმანიას ამარა, თქვენი არ ვიცი და მე, პირადად, კარგად ჩამესმის ყურში რომელიმე ქართველი თეატრალის (რატომღაც თეატრალი მგონია) აღშფოთებული მონოლოგი, რომელიც ასე დაიწყება „დაგვიტოვა სოფელი და წავიდა!“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ისტორიაში. ელაიზა დულიტლი, იგივე გალატეა, უარს ამბობს მიუტანოს ფლოსტები ძალაუფლების ვერტიკალზე წამოსკუპულ უქნარას, რომელიც თავის თავს „კულტურას“ უწოდებს. ახლა ისღა დაგვრჩენია, დავაკვირდეთ ვინ მოიგებს ამ ბრძოლას. ვილოცოთ იმისთვის, რომ ისტორია ისევ ძველებურად არ დატრიალდეს და „ჯიშიანებმა“ ისევ არ მოუგონ ბრძოლა „თეთრ ყვავებს“. ყველაფერი გამოვიყენოთ ამისთვის — ვილნიუსიც გამოვიყენოთ და პატრიარქსაც ვთხოვოთ უთხრას მრევლს, რომ კლავს არა რბილი „ლ“, არამედ ამპარტავნობა და ფარისევლობა.

გიორგი გვახარია
რადიო **„თავისუფლება“**

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სექსუალური ხასიათის ქცევა 100-დან 200 ლარამდე დაჯარიმდება

საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივ უხამსი გაშიშვლება, ასევე ფიზიოლოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილება პირის 100-ლარიდან 200 ლარამდე დაჯარიმებას გამოიწვევს.



ეს კანონში ჩაიწერა. სწორედ ზემოთ აღნიშნული ქმედებები ჩაითვლება ადამიანის ღირსების და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნად, რამაც რამდენიმე თვის წინ, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის საფუძველზე ერთგვარი აჟიოტაჟი გამოიწვია. საკანონმდებლო ინიციატივა კოცნის ამკრძალავ ინიციატივადაც კი იქნა აღქმული.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით უკვე მიიღო, „ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობაში ყოფნის“ ფორმულირება შეიცვალა და დაზუსტდა, ასევე დაკონკრეტდა სანქციები ასეთ ქმედებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, პარლამენტის მიერ დამტკიცებული პროექტის თანახმად, საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება, რაც გამოიხატება საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობაში და იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას (სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივ უხამსი გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნის დაკმაყოფილება), გამოიწვევს დაჯარიმებას 100-იდან 200 ლარამდე ოდენობით.

გარდა ამისა, განისაზღვრა კონკრეტული ფულადი ჯარიმები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელების მიღებაზე. დამტკიცებული კანონპროექტის მიხედვით, ალკოჰოლიანი სასმელების სმა სტადიონებზე, სკვერებში, პარკებში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა, ასევე იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმით გაყიდვა ხორციელდება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 150 ლარამდე ოდენობით.

აღნიშნული ქმედების წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, პირი 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით აღნიშნული ზომების მიღება არასაკმარისად ჩაითვლება, დამრღვევს ადმინისტრაციული წესით 15 დღემდე ვადით დააპატიმრებენ.

საკანონმდებლო პროექტის ავტორი და ინიციატორი შინაგან საქმეთა სამინისტროა.

„სასოფლო თემების კიდევ უფრო გამსხვილება დაუძლეველი ამოცანა იქნება"

საქართველოში თვითმმართველობის ძირეული რეფორმა იწყება. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი უკვე პარლამენტშია წარდგენილი და სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიაზევე განიხილება. ახალი კოდექსის მიხედვით, რეფორმის ნაწილის განხორციელება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე უნდა მოესწროს, დანარჩენი კი, რამდენიმე წელზეა გათვლილი და ეტაპობრივ ცვლილებებს ითვალისწინებს. არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების ნაწილი, რეფორმის ნაკლზე და კანონპროექტში არსებულ იურიდიულ პრობლემებზე საუბრობს.

დავით მელუა

„საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის" მხარდაჭერით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა ალტერნატიული კანონპროექტი დაარეგისტრირა საქართველოს პარლამენტში და აგროვებს ხელმოწერებს მისი ინიცირებისთვის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

სამთავრობო პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ თვითმმართველობის რეფორმის შედეგად გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და დღეს არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, ეს სტატუსი დამატებით ცამეტ ქალაქს მიენიჭება. თვითმმართველი ქალაქების მიმდებარედ ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების — ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველი რგოლები არჩევითი იქნება.

გუბერნატორის ინსტიტუტი უცვლელი რჩება, თუმცა, პარალელურად, შეიქმნება კოლეგიალური ორგანო, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრები და ეს ორგანო ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მხარის, რეგიონის დონეზე.

როგორც რეფორმის ინიციატორები განმარტავენ, კოდექსით ასევე განსაზღვრულია სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა, რაც სოფლების მცხოვრებთა საჭიროებების გამოვლენას და მათ გადაწყვეტას ხელს შეუწყობს.

„საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის" აღმასრულებელი დირექტორი, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრი დავით მელუა მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის პროექტთან მიმართებაში, მთელი რიგი იურიდიული პრობლემები არსებობს; მათ შორის, რამდენიმე პრინციპული საკითხია, რომლებიც ევროპულ ქარტიასთან წინააღმდეგობაში მოდის, თანაც, აუარესებს საქართველოში არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის მდგომარეობას:

— პირველი ასეთი საკითხი მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება და ე.წ. გუბერნატორებია. გუბერნატორი საქართველოს მთავრობის მიერ ინიშნება, მას ემორჩილება და მთავრობის პოლიტიკას ახორციელებს; ის არ არის თვითმმართველობის ორგანო. როცა კოალიცია „ქართული ოცნება" მოვიდა, მის წინასაარჩევნო პროგრამაში ეწერა, რომ გუბერნატორის ინსტიტუტი გაუქმდებოდა; ახლა, გუბერნატორის ინსტიტუტი არა თუ უქმდება, შემოდის თვითმმართველობის კოდექსში და ენიჭება ფუნქცია თვითმმართველობასთან მიმართებაში. როგორ წარმოგიდგენიათ, თუ გუბერნატორი ამდენ ხანს, როცა კანონით ეს უფლებები არ ჰქონდა მინიჭებული მაინც პრობლემა იყო, კანონი რომ უფლებას მისცემს, რას გააკეთებს?! ყველა ის უკანონობა, რასაც ამდენ ხანს ჰქონდა ადგილი, ახლა კანონში იწერება. არ ვიცი, როგორ უნდა გაგიძლოს კაცს შუბლის ძარღვმა, რომ ეს დემოკრატიულ მიღწევად გაასაღო! კონსტიტუციაში გუბერნატორი, რა თქმა უნდა, ჩაწერილია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანო და არა როგორც თვითმმართველობის ხელმძღვანელი. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში გუბერნატორის შემოტანა იგივეა, მწნილის რეცეპტი ტელეფონების წიგნში რომ ჩაწერო.

— თქვენ თვლით, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის თვითმმართველობის სისტემაში შემოტანით, ხელისუფლება მართვას და კონტროლს აძლიერებს?

— დიახ, ეს კოდექსი, ფაქტობრივად, არის ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობის კანონი, რითაც სახელმწიფო მმართველობა შემოდის ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში და ხდება არა დეცენტრალიზაცია, არამედ, ცენტრალიზაცია. თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული გუბერნატორი თვითმმართველობის კოორდინაციის ფუნქციას კანონიერად შეითავსებს, ასეთ შემთხვევაში, იქ თვითმმართველობა ყოველთვის დაჩაგრული იქნება. მით უმეტეს, რომ რაიონებს დაშლიან და წვრილი ერთეულები შეიქმნება, სადაც იქნება არჩეული მერი, რომელსაც ზემოდან, ადმინისტრაციული ვერტიკალის სახით, გუბერნატორი და საქართველოს მთავრობა ეყოლება. თუ ეს ასე არ არის, მაშინ გააგზავნოს შერგელაშვილმა და ნარმანიამ ეს კანონპროექტი ვენეციის კომისიაზე და რა დასკვნა მოვა იქედან, ვნახოთ. ვენეციის კომისიაში სამინისტროს ეს კანონპროექტი არ გაუგზავნია და როგორც ვიცი, არც აპირებენ გაგზავნას, რადგან ვენეციის კომისიას ეს კანონპროექტი ვერ გაივლის.

— გუბერნატორის ინსტიტუტის გარდა, კიდევ რა პრობლემას ხედავთ ამ კანონპროექტში?

— თუ საქართველოში ვინმეს თვითმმართველობის განვითარება და საზოგადოებასთან ახლოს მიტანა უნდა, მაშინ თვითმმართველობა იმ ერთეულებს უნდა დაუბრუნოს, საიდანაც ის 2006 წელს წაიღეს - სოფელს, თემს და ქალაქს. ამ კანონპროექტით კი, მოსახლეობას შორის დისკრიმინაცია ხდება. მაგალითად, თუ ქალაქ ოზურგეთის მცხოვრებს უნდა ჰქონდეს თვითმმართველობა თავის დასახლებაში, სოფელ ძიმითის ან სოფელ ნაგომრის მცხოვრებს რატომ არ უნდა ჰქონდეს თვითმმართველობა თავის დასახლებაში?!

კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ თვითმმართველობა ავტომატურად ენიჭება იმ ქალაქს, სადაც 15 ათასზე მეტი მცხოვრებია. წყალტუბოში 15 800 კაცი ცხოვრობს, ბორჯომში — 14 550; 450 კაცი აკლია თვითმმართველობის სტატუსამდე და ამის გამო, საქართველოს მოქალაქეს ქალაქ ბორჯომში სხვა უფლებები აქვს და წყალტუბოში — სხვა? ან ოზურგეთში რომ 2014 წელს აღწერა ჩავატაროთ და არ აღმოჩნდეს 15 ათასი კაცი, წაართმევენ ქალაქს თვითმმართველ სტატუსს და სასოფლო თემში შეიყვანენ?

მეორე საკითხი, მაგალითად, ოზურგეთის დაშლა; დღესაც შესაძლებელია, რომ ოზურგეთმა მიიღოს თვითმმართველობა, მაგრამ ამისთვის მოსახლეობის გამოკითხვა უნდა ჩატარდეს, სურთ თუ არა ამის გაკეთება. უნდა იყოს გათვლები, თუ როგორ შეეძლებათ დარჩენილ სასოფლო თემებს ოზურგეთის გარეშე არსებობა: ცენტრი სად იქნება, თავად ქალაქ ოზურგეთის ფინანსური მდგრადობა რა იქნება და ა.შ. მთავარია, ქალაქი თვითკმარი ურბანული ცენტრი იყოს და არა ტრაფარეტი. ამ კანონის განხორციელებით სირთულე უფრო მეტი იქნება. ქალაქი ოზურგეთი რომ გამოვა ცალკე, სად იქნება ოზურგეთის წყალმომარაგება? დღეს მისი წყალმომარაგების რეზერვუარი სოფელ გომშია. ელემენტარულად, პოლიკლინიკები, ბაზარი, თეატრები ყველა ეს ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტების დღევანდელ ადმინისტრაციულ ცენტრშია, ცალკე რომ გამოეყოფა თვითმმართველი ქალაქები, სად ექნებათ სასოფლო თემებს ეს ინფრასტრუქტურა? უმჯობესი ხომ არ იქნება, შეინარჩუნონ დღევანდელი მუნიციპალიტეტები, სადაც მასში გაერთიანებული სოფლების მოსახლეობას ექნება საშუალება მუნიციპალური ქალაქების სიკეთეებით ისარგებლოს.

ახალი კოდექსი გულისხმობს რამდენიმე სასოფლო თემის კიდევ უფრო დიდ თემებად გაერთიანებას — მაშინ, სად იქნება ცენტრი?! სოფლის მოსახლეობას ახლა ჰგონია, რომ დაანონსებული რეფორმით თვითმმართველობა ექნება საკუთარ თემში (როგორც 2006 წლამდე იყო), რწმუნებულს თავად აირჩევენ და ა.შ. მათ არ ეუბნებიან, რომ მათი მოლოდინი ფუჭია — მთავრობა აპირებს რამდენიმე თემის გაერთიანებას (საშუალოდ, ერთ გაერთიანებაში 10 ათასამდე მოსახლე რომ იყოს) და ამ ეკლექტური გაერთიანებისთვის თვითმმართველობის მინიჭებას. ეს ძალიან რთული თემაა და მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. მომხრე ვარ დღეს არსებული სასოფლო თემების მოსახლეობას მივცეთ ის, რაც წაართვეს, საკუთარი ხელისუფლების ყოლის უფლება, რომელიც მათ პრობლემებს გადაჭრის.

პირველ ეტაპზე, შეიძლება სასოფლო და საქალაქო თემების თვითმმართველობებში ბიუჯეტი არ იყოს, რადგან მოსახლეობა ვერ გადაიხდის მიწის გადასახადს, მაგრამ შეიძლება იყოს ხარჯთაღრიცხვა, მუნიციპალიტეტმა გამოუყოს სოფელს ფული და სოფლის პროგრამა განხორციელდეს; ეს თანხები მუნიციპალიტეტის მიერ დანიშნულმა რწმუნებულმა კი არა, თემის არჩეულმა საბჭომ უნდა განკარგოს.

სხვა პრობლემებიც წარმოიქმნება; მაგალითისთვის დაბა ნასაკირალს და სოფელ ძიმითს მოგიყვანთ. ნასაკირალს ტყის მასივი არ აქვს, სოფელ ძიმითს — აქვს. თუ ძიმითის თემი დაბა ნასაკირალი შეუერთდება, ნასაკირალის მოსახლეობასაც ექნება უფლება ძიმითის ტყე გამოიყენოს. რა მოხდება ამ შემთხვევაში წარმოგიდგენიათ?! დღეს ძიმითის თემიდან ნასაკირალში საქონელი რომ გადადის საბალახოდ, ლამის პატარა სამხედრო კონფლიქტია... ან როგორ წარმოგიდგენიათ ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში რა მოხდება?

ქვემო ქართლში ჩვენ გვაქვს 12-ათასიანი სოფელი მუღანლო და 2-ათასიანი სოფელი ლემშვენიერა. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ორის გაერთიანება ან მატნის და დუისის თემების გაერთიანება, იქ არჩევნების ჩატარება და ერთი მუნიციპალიტეტის შექმნა? ან რა სახელწოდებები ექნებათ ამ გაერთიანებებს? ამის ინსტიტუციონალიზაციას თუ აპირებს თენგიზ შერგელაშვილი, ეს უკვე მაქსიმუმ, საქართველოს დაშლაა, მინიმუმ კი — სერიოზული სამოქალაქო არეულობა. საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე, ამ კანონის მიღება დაუშვებელია! სოფლის მოსახლეობას უნდა უთხრან, რამდენიმე სასოფლო თემი უნდა გაერთიანდეს, რომ თვითმმართველობა რომ ჰქონდეს — ანუ, ფაქტობრივად, ახალი რაიონი უნდა შეიქმნას უფრო პატარა ტერიტორიით. მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძიმითის თემში უკვე ემზადებიან და დიდი მოლოდინი აქვთ, რომ „საკუთარი" თვითმმართველობა ექნებათ, ძიმითის მოსახლეობამ უბრალოდ, არ იცის, რომ „საკუთარი" თვითმმართველობა დაბა ნასაკირალის, ნაგომრის და კიდევ რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულთან საერთო ექნებათ. როცა ამას გაიგებ, მერწმუნეთ, ამ გეგმას მხარს არ დაუჭერენ. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოებამ ამ საკითხებზე წინასწარ იმსჯელოს, ალტერნატიული ვარიანტებიც განიხილოს და გადაწყვეტილება ისე მიიღონ.

ჩვენს ალტერნატიულ პროექტში გუბერნატორს თვითმმართველობასთან რაიმე კავშირში არ განვიხილავთ. ჩვენ მომხრე ვართ, მუნიციპალიტეტში ავირჩიოთ მერი და საკრებულო მაჟორიტარული წესით, ისე, რომ პარტიის წევრსაც შეეძლოს მონაწილეობის მიღება და საინიციატივო ჯგუფსაც, პატარა ქალაქში, თემში და სოფელში მოსახლეობამ უნდა აირჩიოს და თავისი დასახლების ცენტრში ჰყავდეს არჩეული წარმომადგენელი. საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე დღეს 3500-მდე სოფელია, რომელიც 998 თემშია გაერთიანებული; ანუ, დაახლოებით, 3-4 სოფელი ერთ თემშია გაერთიანებული და მეტი რაღა უნდა გაამსხვილონ?! დუშეთის მუნიციპალიტეტში 380 სოფელი 14 თემშია გაერთიანებული, ოზურგეთის რაიონის 210 სოფელი — 40 თემში. სასოფლო თემების კიდევ უფრო გამსხვილება დაუძლეველი ამოცანა იქნება და მოსახლეობა ამას არ მიიღებს

— მაშინ რატომ დადგა რეფორმის ამ სახით გატარების აუცილებლობა?

— არ ვიცი ამას ხელისუფლება აკეთებს თუ ცალკეული ჯგუფი ხელისუფლებაში, თუმცა, ვხვდები, რა არის ამის გასაღები; დღეს საქართველოში საკრებულოებში 1720 ადგილია. თუ 2700 გახდება, ხომ უფრო გაიზრდება შანსი, რომ ცალკეული პარტიები (კოალიციის დაშლის შემთხვევაში) ამ საკრებულოებში მოხვდნენ?! ან სულაც კოალიციის ერთიან სიაში ხომ უფრო მეტი ადგილი რჩება სავაჭროდ? ჩემთვის პირადად, ეს ყველაფერი მეორადია, ჩემთვის მთავარია ადგილობრივი თვითმმართველობა ისე მოეწყოს, როგორც მოსახლეობას უნდა და არა ისე, როგორც ხელისუფლებას ან ცალკეულ პარტიებს აძლევს ხელს. შემოთავაზებული სისტემა იმთავითვე მყიფე იქნება და არ იმუშავებს. ფრანგული ანდაზა ამბობს: კვერცხიდან გოგლი-მოგლის გაკეთებას ნებისმიერი შეძლებს, მაგრამ გოგლი-მოგლიდან კვერცხი არავის გაუკეთებია. ასე, რომ ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით დიდი სიფრთხილეა საჭირო.

მთავრობის დადგენილებაში არ წერია, რომ ეს პროექტი საბოლოო ჭეშმარიტებაა. დადგენილებაში წერია, რომ პროექტი, ძირითადად, მოწონებულია. ამიტომაც, საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თუნდაც ის შენიშვნები, რაც ამ კოდექსის მიმართ ეკონომიკის, იუსტიციის და შს სამინისტროებს ჰქონდათ. ვთვლით, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი უფრო მეტად პასუხობს ამ შენიშვნებს, ვიდრე ის, რაც თავად მთავრობამ დაამტკიცა. შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს არ იჩქაროს სამთავრობო კანონპროექტის განხილვა, აცალოს ალტერნატიულ პროექტს ხელმოწერების შეგროვება და ერთად იმსჯელონ ორივე დოკუმენტზე.

მოამზადა
თამთა კაკაურიძემ

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: არ გაამჟღავნოთ დაფარული, უმჯობესია, ჯერჯერობით, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის.

კურო: ისწავლეთ ადამიანების ნდობა და მეგობრების დაფასება. თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენი გარემოცვიდან ყველა არ არის ღირსი ნდობის, შეარჩიეთ მეგობრები, რომ მომავალში არ ინანოთ.

ტყუპები: დროა გაიხსენოთ, რომ გაქვთ ჰობი, რომლისთვისაც დიდი ხანია, არ გამოგიყვიათ დრო, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გქონდათ.

კირჩხიბი: იყავით მათ გვერდით, ვისაც ნამდვილად ესაჭიროება თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა. შესაძლებელია, ამ ყველაფრისაგან თქვენ ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღოთ, მაგრამ ეს ესიამოვნება თქვენს ძვირფას ადამიანს.

ლომი: შესაძლებელია, იფიქროთ, რომ ცხოვრება უღიმღამო და მოსაწყენია, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია და მალე შეიცვლება საპირისპიროდ. თქვენს ცხოვრებაში გამოჩნდება ადამიანი, რომელიც რადიკალურად შეცვლის თქვენს შეხედულებებს ცხოვრებაზე.

ქალწული: კარგია ნებისმიერი სპორტის სახეობით დაკავება. ამ კვირაში გართობა გელით.

სასწორი: კარგი დროა ნებისმიერი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. თამამად იყავით და ყველაფერი გამოგივათ, არ დაგავიწყდეთ, თუ საჭირო გახდება, მეგობრებს და ახლობლებს სთხოვოთ დახმარება.

მორიელი: ელოდეთ ისეთ სიურპრიზებს, რომლებზეც ოცნებასაც კი ვერ ბედავდით. არ მოერიდოთ ყველაზე თამამ ნაბიჯებსაც კი, ყველაფერი გამოგივათ.

მშვილდოსანი: დროა, გადადგათ ნაბიჯები წინ და გადაწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადასაწყვეტია. ნუ ცდილობთ დროის გაყვანას, თქვენს გასაკეთებელს ვერავინ გააკეთებს.

თხის რქა: ხელსაყრელი დროა საქმიანი გეგმების განსახორციელებლად. მარტოხელა თხის რქები ამ კვირაში ცხოვრების სიყვარულს შეხვდებიან. დროის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გართობას დაუთმეთ.

მერწყული: გირჩევთ, დაისვენოთ და მაქსიმალურად მოდუნდეთ, ეს რჩევაცაა და დარიგებაც. თუნდაც ფიქრობდეთ, რომ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი, მაინც უმჯობესია, გადადოთ საქმეები, დაისვენოთ და მერე ახალი ძალით შეუდგეთ მუშაობას.

თევზები: საქმეების და პრობლემების ისე დატოვება, როგორც არის, არ ღირს. თქვენ სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ რამე თქვენს ცხოვრებაში, თორემ მოწყენილობა დაგეუფლებათ, ხოლო ეს კარგი არ არის.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სირტაკი; 5. უნაბი; 6. ადო; 8. გაი; 9. მედეა; 11. ინდაური.
შვეულად: 1. არუბა; 2. შატ; 3. სანგარი; 4. ინდოეთი; 7. გენუა; 10. იდა.

ქუთაისელი არქიტექტორის ხელნაკეთი მანქანების და საოჯახო ტექნიკის გამოფენა

29 ნოემბერს ქუთაისში საპროექტოს შენობაში არქიტექტორ ვახტანგ დვალიშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე მისულ დამთვალიერებლებს საოჯახო ტექნიკასთან ერთად ქუთაისის გენგეგმის მაკეტის და ორი ხელნაკეთი ავტომობილის ნახვა შეეძლოთ.

„P.S. ფოტო" ©

ვახტანგ დვალიშვილი და მისი შექმნილი მანქანები

ვახტანგ დვალიშვილი შემოქმედებით საქმიანობას 35 წელია ეწევა, როგორც მან აღნიშნა, მის მიერ შექმნილი ავტომობილებით ევროპა მოიარა. უნიკალური ავტომობილი, რომელსაც საჭე შუაში აქვს მნახველთა გაოცებას იწვევს. „საავტომობილო ქვეყნები თითზე ჩამოსათვლელია მსოფლიოში, ჩვენ დავკარგეთ ეს პრიორიტეტი. ჩემი სურვილით 90-იან წლებში საავტომობილო და სატრაქტორო ქარხანას საჩუქრად გავუკეთე ახალი მოდელები, მაგრამ ამ ძალისხმევამ მაინც არ უშველათ. ახლა გადავწყვიტე შევქმნა მობილური არქიტექტურა. ყველა მშენებლობა ხორციელდება საველე პირობებში, რაც ძვირი ჯდება. ჩემი პროექტით მზადდება მობილური სახლები თავისი ავეჯით და კონდიციონერით. ასეთი სამი სახლი უკვე დაიდგა. ამათგან ორი ქუთაისში და ერთი საგურამოში. ასევე მაქვს ქალაქის გენგეგმა, თუ როგორი უნდა იყოს ქუთაისი ხვალ, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ და იმედია, მოხდება მისი განვითარება," — აღნიშნა **ვახტანგ დვალიშვილმა.** აღსანიშნავია, რომ არქიტექტორმა მის მიერ დაფუძნებულ შპს-ს და შექმნილ ტექნიკას ქალიშვილის სახელი „მარი" უწოდა.

ნესტან ჩაგელიშვილი



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო. შემდეგ დაგვიკავშირდა ლეილა ფოფხაძე.

რას დაარქმევდით?

ზაქარია ქუცნაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი

ბიძინა ივანიშვილი: „აბა, შენ იცი, ირაკლი, სირცხვილი არ მაჭამო!"

ნანი გორგიძე

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. რელიგიის უარმყოფელი მეცნიერება; 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 6. დაბა აჭარაში; 8. თევზის ძვალი; 9. სანიავებელი; 11. არსენა ოძელაშვილის სოფელი.
ვერტიკალურად: 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ბუვეის რომანი; 3. ამერიკელი ფიზიკოსი ალბერტ ... მაიკელსონი; 4. აშშ-ს შტატი; 7. ცნობილი ამერიკული თოჯინა; 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.

წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული", წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (431) 274 474

იმერი

IMERI TEXTILE COMPANY

სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია „იმერი" მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობითა და გამოცდილებით გამორჩეული ბრენდია როგორც ქართულ, ისე – უცხოურ ბაზარზე.

ქუთაისსა და თბილისში გაიხსნა **„იმერის"** საფირმო მაღაზიები, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ ქალისა და მამაკაცის პალტოებს, მანტოებსა და ქურთუკებს.
წარმოდგენილი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა და შექმნილია მსოფლიო ბრენდების ნიმუშებზე, ევროპული ტექნოლოგიით.
კომპანია „იმერი" ემზადება ზაფხულის კოლექციის შესაქმნელად, რომელიც საფირმო მაღაზიებში გაიყიდება!

„იმერის" საფირმო მაღაზიების მისამართი და საკონტაქტო მონაცემები:
ქუთაისი – ასათიანის ქ. №119;
ტელეფონი: 0431 22 07 08

თბილისი – მიცკევიჩის ქ. №6;
ტელეფონი: 551 555 163

მოდის სახლი „მარიონელა"

ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა:
marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია" – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი", „ლიმონი", „ტარხუნა", „ფორთოხალი", „ატამი", „დაფნა", „ალუბალი", „ნაღები", „საფერავი", „მარწყვი", „შოკოლადი".

„აიას" ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.

ლუდი „აია" – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.
მიირთვით „აიას" პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი:
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი

თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64; (599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.



სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე" აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი:
(0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური:
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა

კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27

ქართული თხილის გადამამუშავებელი საწარმო

„იმერნათი"

ექსპორტი ევროპის ქვეყნებში;

მოხალული თხილის გული შიდა ბაზრისთვის;

ადგილობრივი თხილის შესყიდვა მისაღებ ფასში.

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქ. №21

ტელეფონი: 555 10 56 62
E-მაილი: dat-chap77@mail.ru

იმერნათი

თხილის გადამამუშავებელი საწარმო

„ოქროს ხელები"

ლითონის ჭედური ნაკეთობები

„ოქროს ხელები" აწარმოებს ყველა სახის რკინის ნაკეთობას:
ჭიშკრებს, კარებს, გისოსებს, დარაბებს, მოაჯირებს, ქოლგებს, ჟალუზებს, ტახტს, მაგიდას, სკამს, ბუხრის ინვენტარს.

დახვეწილი დიზაინი, მრავალფეროვნება, სიძველის ეფექტი.
პროდუქციის ხარისხს განაპირობებენ ორნამენტის მხატვრულ დამუშავებაში გამოცდილი სპეციალისტები.
ვემსახურებით ადგილზე მიტანით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში
მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №18
ტელეფონი:
593 113 318; 555 377 366
www.cheduri.weebly.com